გამოიცა კონფერენციის მასალების კრებული „მსოფლიო მართლმადიდებლობა: პირველობა და კათოლიკურობა მართლმადიდებლური სარწმუნოების შუქზე".

სსკგ-ის კომუნიკაცის სამსახური, 06.08.2023. გამომცემლობა „პოზნანიემ“ გამოსცა მასალების კრებული სინოდალური ბიბლიური და საღვთისმეტყველო კომისიის კონფერენციიდან „მსოფლიო მართლმადიდებლობა: პირველობა და კათოლიკურობა მართლმადიდებლური სარწმუნოების შუქზე“, რომელიც 2021 წლის 16-17 სექტემბერს **გაიმართა.**

კრებული იხსნება მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს **შესავალი სიტყვით,** რომელიც მან კონფერენციის გახსნაზე წარმოთქვა. თავის მიმართვაში უწმინდესმა პატრიარქმა აღნიშნა, რომ მართლმადიდებელი ეკლესიების ოჯახში არსებული ვითარება მის მომცველ კრიზისს ასახავს. ამ კრიზისს სხვადასხვა ასპექტი აქვს, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არის მართლმადიდებლობის წინააღმდეგ შექმნილი საფრთხე: „როგორც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარი, რომელიც ვალდებულია იზრუნოს ყველა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობის შენარჩუნებასა და განმტკიცებაზე, არ შემიძლია არ განვიცადო პირადი ტკივილი იმისგან, რაც ხდება ჩვენს ურთიერთობაში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან და იმ ეკლესიებთან, რომლებიც მის მიერ ჩათრეულ იქნა ე.წ. უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის აღიარებაში,

რაც სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა საეკლესიო განხეთქილების ლეგიტიმაცია“.

როგორც გამომცემლობა „პოზნანიე“-ს ვებგვერდი **იტყობინება,** კრებული მოიცავს უცხოელი და ადგილობრივი პატროლოგების, თეოლოგებისა და ეკლესიის ისტორიკოსების მოხსენებებს, რომლებიც ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებში თანამედროვე ვითარებასთან დაკავშირებულ აქტუალური საკითხების ფართო სპექტრს ეძღვნება: მსოფლიო მართლმადიდებლობის სტრუქტურის გაგება; პირველობა და კათოლიკურობა; ეკლესიის კანონიკური სტრუქტურის შესაბამისობა ეკლესიის მმართველობის სფეროში არსებულ საქმეებთან და სხვ.

წიგნი სასარგებლო იქნება პატრისტიკის, ეკლესიის ისტორიის, დოგმატური ღვთისმეტყველების და ქრისტიანული ანთროპოლოგიის ცოდნის გასაღრმავებლად, ასევე თეოლოგიური, ისტორიულ-ფილოსოფიური, ისტორიული, კულტუროლოგიური და რელიგიური სპეციალობების სტუდენტების მოსამზადებლად.

გამოცემა მომზადდა სინოდალური ბიბლიურ-ღვთისმეტყველური კომისიის თავმჯდომარის, ბუდაპეშტისა და უნგრეთის მიტროპოლიტ ილარიონის საერთო რედაქციით და არაკომერციული ორგანიზაციის – „ქრისტიანული კულტურისა და მემკვიდრეობის მხარდამჭერი ფონდი“ –ფინანსური მხარდაჭერით.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90430/